ა(ა)იპ „ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის

სახელობის ქართული უნივერსიტეტის“

დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

2013 წ. 01 აგვისტოს N 01-00/12 ბრძანების დანართი N 12

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“

საექიმო პუნქტის

დებულება

დამტკიცებულია :

ა(ა)იპ „ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“

დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის

2013 წ. 01 აგვისტოს N 01-00/12 ბრძანებით

/ _____ / მეუფე იაკობი (იაკობიშვილი)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" (შემდგომში **„უნივერსიტეტი"**) **საექიმო პუნქტი** (შემდგომში **„საექიმო პუნქტი"**) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. საექიმო პუნქტი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სხვა შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით (შემდგომში **„მარეგულირებელი ნორმები"**);

3. საექიმო პუნქტი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს და დამოუკიდებლად არ აწარმოებს სამართლებრივ ურთიერთობებს მესამე პირებთან.

მუხლი 2. საექიმო პუნქტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. საექიმო პუნქტის მიზნები და ამოცანებია:

ა) ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვით, უნივერსიტეტის სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის მაღალკვალიფიციური უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევა;

ბ) უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ჯანმრთელობის დაცვის პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, პაციენტის პატივისა და ღირსების დაცვა;

ე) ჯანმრთელობის დაცვის პროცესში სამედიცინო ეთიკის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დამკვიდრება;

ვ) უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა სრული ინფორმირება სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობის შესახებ;

ზ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა;

თ) უნივერსიტეტში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ი) უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთათვის რეკომენდაციების მიცემა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, სამუშაო და დასასვენებელი გარემოს გაუმჯობესების მიზნით;

კ) ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე, ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისა და სათანადო პროექტების შემუშავების მიზნით სხვადასხვა სამეცნიერო და პროფესიულ განხილვებში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 3. საექიმო პუნქტის სტრუქტურა

1. საექიმო პუნქტის სტრუქტურა, საშტატო თანამდებობები და რიცხოვნება განისაზღვრება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის სტრუქტურითა და საშტატო განრიგით;

2. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით საექიმო პუნქტში განსაზღვრული თანამდებობაა - ექიმი;

საექიმო პუნქტი უფლებამოსილია მისი ამოცანებისა და მიზნების განსახორციელებლად ოითხოვოს შესაბამისი სპეციალისტის მოწვევა უნივერსიტეტის მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი წესების დაცვით.

4. საექიმო პუნქტის თანამშრომლებს (გარდა ექიმისა) თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, ექიმის რეკომენდაციითა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წარდგინებით.

მუხლი 4. ექიმი

1. საექიმო პუნქტს ხელმძღვანელობს და საექიმო პუნქტის მიერ ამ დებულებით დადგენილი ამოცანების განხორციელებას კოორდინაციას უწევს ექიმი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წარდგინებით.

2. საექიმო პუნქტის ექიმი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე;

3. საექიმო პუნქტის ექიმი:

ა) როგორც მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული პირი, ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას, შენარჩუნებასა და აღდგენას;

ბ) უზრუნველყოფს სამედიცინო საქმიანობის წარმართვას მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოფს რათა პაციენტის ინტერესებთან დაკავშირებული პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, არ იმოქმედოს ანგარებით;

დ) ზრუნავს პროფესიული საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებაზე, კოლეგების მიმართ პატივისცემით მოპყრობაზე;

ე) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას წერილობით ასახავს ინფორმაციას გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით სამედიცინო დოკუმენტაციაში შექვს შესაბამისი ჩანაწერები ;

ვ) უნივერსიტეტში პირადი მაგალითით ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, ახდენს დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მოძიებას და უნივერსიტეტში გავრცელებას;

ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უნივერსიტეტში ეპიდემიოლოგიურ და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლს;

თ) საქმიანობის წარმართვისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ხარისხიანი, უსაფრთხო და უფასო სამედიცინო გადაუდებელი/გეგმიური მომსახურების მიწოდებას;

კ) პერიოდულად წარუდგენს უნივერსიტეტის კანცლერს საჭირო მედიკამენტების, სამედიცინო

ბარჯი მასალებისა თუ სხვა სამედიცინო აღჭურვილობის ჩამონათვალს, რაც აუცილებელია საექიმო უნქტის შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის;

ლ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იცავს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის კონფიდენციალობას;

მ) პირუთვნელად ასრულებს ექიმის ფიცს;

ნ) მონაწილეობას იღებს უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში, თავისი პრაქტიკული საექიმო საქმიანობა თანამედროვე მედიცინის მიღწევებისადმი მისადაგებისა და გაუმჯობესების მიზნით;

ო) თავის საქმიანობის წარმართვისას ხელმძღვანელობს პროფესიული სტანდარტებით, ჰუმანიზმის პრინციპებით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ეთიკური და ინტერესთა შეუთავსებლობის ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის სხვა მოთხოვნებით;

პ) საექიმო პუნქტის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) დავალებებს და ახორციელებს მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ჟ) უზრუნველყოფს სხვა საქმიანობის განხორციელებას, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საექიმო პუნქტის მიზნებსა და ამოცანებს.

მუხლი 5. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი

1. თავისი საქმიანობის ნორმალურად წარმართვის მიზნით უნივერსიტეტის საექიმო პუნქტი აღჭურვილია ყველა სახის აუცილებელი სამედიცინო აღჭურვილობით, მედიკამენტებითა და სამედიცინო სახარჯი მასალებით, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების დროულ/გადაუდებელ და ხარისხიან მიწოდებას;

2. უნივერსიტეტში ინფორმაცია საექიმო პუნქტის შესახებ განთავსებულია ყველა სკოლის (ფაკულტეტის) საინფორმაციო დაფაზე და შენობის ყველა სართულზე ევაკუაციის გეგმასთან ერთად თვალსაჩინო ადგილას;

3. სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები ან უნივერსიტეტის თანამშრომლები უნდა დაუკავშირდნენ უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს ან/და საექიმო პუნქტის ექიმს;

4. საჭიროების შემთხვევაში ექიმი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სამედიცინო დახმარებას გაწევას წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით ან/და იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას, საჭირო სამედიცინო სერვისის მიღების მიზნით.

მუხლი 6. საექიმო პუნქტის ქონება და დაფინანსების წყარო

1. საექიმო პუნქტის ქონება გადაცემული აქვს უნივერსიტეტის მიერ ფლობისა და სარგებლობის უფლებით;

საექიმო პუნქტი ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან მისთვის [illegible] კარგლებში.

მუხლი 7. დასკვნით დებულებები

1. საექიმო პუნქტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება [illegible] შესაბამისად;
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება [illegible] დამტკიცებისათვის გათვალისწინებული პროცედურები დაცვით.

ქ. თბილისი

2013 წელი